

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



შალვა შარაშენიძე

გადახდისუნარიანობის პრობლემური საკითხები შპს „მაჯიდ ალ  
ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიასა“ და შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“  
მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. იზოლდა ჭილაძე

თბილისი

2020

## ანოტაცია

თემის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა და ნორმალურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი გადახდისუნარიანობა. ამ უკანასკნელით დაინტერესებულნი არიან როგორც საწარმოს მმართველი რგოლები, ასევე მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირები.

კვლევის საგანს წარმოადგენს გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები და გადახდისუნარიანობის სხვა მაჩვენებლები.

კვლევის მიზანია საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის ხარისხის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების შემუშავება.

კვლევის ობიექტია შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ და შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“.

ნაშრომის შესასრულებლსას გამოყენებულ ინფორმაციულ რესურსებსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა ინტერნეტში მოძიებული წყაროები.

შრომის დასკვნაში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და საანალიზო საწარმოებში გადახდისუნარიანობის შემდგომი ამაღლების რეკომენდაციები.

## Annotation

### **Problematic issues of solvency on the example of LLC "Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia" and LLC "fresko shopping centre"**

The urgency of the topic stems from the fact, that in the conditions of a modern market economy, in order to ensure the financial stability and normal functioning of the enterprise, one of the most important roles is played by its solvency. The latter are interested in the managers of the enterprise and persons in business relations with the enterprise.

The subject of research is the balance of solvency, Liquidity ratios and Other indicators of solvency.

The purpose of the research is to study the degree of solvency of analytical enterprises and to Develop appropriate measures.

The object of research is LLC "Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia" and LLC "fresko shopping centre".

The results of the research and recommendations for further upgrading of solvency in analytical enterprises are presented in the labor report.

## შინაარსი

ანოტაცია.....	2
annotation.....	3
შესავალი.....	5
თავი 1. გადახდისუნარიანობის ანალიზის ამოცანები და მაჩვენებლები	
1.1 გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და ანალიზის საინფორმაციო წყარო.....	7
1.2 საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა.....	11
თავი 2. საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები	
2.1 საწარმოთა გადახდისუნარიანობის ბალანსის ანალიზი.....	28
2.2 ლიკვიდურობის კოეფიციენტების ანალიზის შედეგები.....	30
დასკვნა.....	45
გამოყენებული ლიტერატურა.....	47
დანართი.....	48

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა და ნორმალურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი გადახდისუნარიანობა. ამ უკანასკნელით დაინტერესებულნი არიან როგორც საწარმოს მმართველი რგოლები, ასევე მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირები. გადახდისუნარიანობის დონის ცვლილების კონტროლი მენეჯმენტისთვის ერთ-ერთი გამოწვევაა, ვინაიდან ვადაგადაცილებულ ვალდებულებებს საწარმოსათვის დამატებითი და საკმაოდ სოლიდური ხარჯების მოტანა შეუძლია. თავისმხრივ ეს გარემოება უარყოფით მოვლენას წარმოადგენს საწარმოს კონტექსტში. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ საწარმოს ფინანსური მდგრადობა მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის იმდენად, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ცალკეულ საწარმოთა გამართულად ფუნქციონირებასთან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საწარმო აღმოჩნდება ფინანსური საფრთხეების ქვეშ რის გამოც დატოვებს ბაზარს, ეს მოვლენა ჯაჭვური რეაქციის სახით აისახება მთელ ეკონომიკაზე. საწარმოს გადახდისუნარიანობაში მოიაზრება მისი უნარი, დროულად და შეუფერხებლად დაფაროს მის წინაშე არსებული ვალდებულებები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საწარმოს გადახდისუნარიანობის კონტროლი და მისი განმტკიცების გზების ძიება მუდამ აქტუალურია.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები და გადახდისუნარიანობის სხვა მაჩვენებლები.

**კვლევის მიზანია** შესწავლილ იქნას ლიკვიდურობისა და სხვა მნიშვნელოვანი კოეფიციენტები, რის საფუძველზეც გაკეთდება შესაბამისი დასკვნები საწარმოთა გადახდისუნარიანობის დონის შესახებ და შევიმუშავებულ იქნეს გადახდისუნარიანობის დონის ამაღლებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

კვლევის პროცესში მოხდა სხვადასხვა სახის ლიტერატურისა და სტატიების გაცნობა, ანალიზისთვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ნაშრომში დეტალური და ზუსტი ასახვა, კვლევის საილუსტრაციოდ საჭირო

საანალიზო საწარმოთა შერჩევა, ანალიზისთვის სათანადო ინდიკატორებისა და მეთოდების შერჩევა.

კვლევის ობიექტად შეირჩა შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ და „შპს ფრესკო“. მოცემული კომპანიები სრულ თანხვედრაშია კვლევის მიზანთან ინფორმაციული თვალსაზრისითა და თვალსაჩინოდ ილუსტრირების შესაძლებლობით.

ამ ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებულ ინფორმაციულ რესურსებსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა ინტერნეტში მოძიებული წყაროები.

შრომის დასკვნაში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და საანალიზო საწარმოებში გადახდისუნარიანობის შემდგომი ამაღლების რეკომენდაციები.

# თავი 1. გადახდისუნარიანობის ანალიზის ამოცანები და მაჩვენებლები

## 1.1 გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და ანალიზის საინფორმაციო წყარო

იმისათვის, რომ საწარმოს გადახდისუნარიანობა შევაფასოთ, საჭიროა გამოვთვალოთ მისი ლიკვიდურობის ხარისხი. ტერმინი „ლიკვიდური“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და თხევადს, მოძრავს ნიშნავს. თუმცა ეკონომიკაში ამ უკანასკნელმა სხვა დატვირთვა შეიძინა და გამოიყენება საწარმოში ყველაზე სწრაფად მოძრავი აქტივების - ფულადი თანხების აღსანიშნავად.

**ქონებას ეწოდება ლიკვიდური**, თუ შესაძლებელია იგი გარდაიქმნას გაცვლის საშუალებად ერთი წლის განმავლობაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ აქტივების, ბალანსისა და საწარმოს ლიკვიდურობას.

**ლიკვიდური აქტივების შემადგენლობაში შედის** მიმდინარე აქტივები: მატერიალური მარაგები, ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები.

ლიკვიდურ აქტივებს ასევე მოიხსენიებენ როგორც საბრუნავ საშუალებებს, ანუ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწრაფად მოძრავ საშუალებებს, ვინაიდან მათში ავანსირებულ ღირებულებას ახასიათებს შემობრუნებადობა წელიწადში რამდენჯერმე.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როდესაც საუბარია იმაზე, რომ მიმდინარე აქტივები სწრაფად ბრუნვადი აქტივებია, ამ დროს იგულისხმება არა ის, თითქოს ფიზიკურად ერთი და იგივე სახის აქტივის ბრუნავს წელიწადში რამდენჯერმე არამედ იგულისხმება, რომ მათში ავანსირებულ ღირებულებას ახასიათებს წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნება.

საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი:

დავუშვათ, წლის დასაწყისისთვის საწარმოს გააჩნია გარკვეული X თანხის ღირებულების მასალის მარაგი, რომელიც რამდენივე დღეში გადავა მზა პროდუქციის თვითღირებულებაში. ამგვარად, მოხდება მასალის განივთება მზა პროდუქციაში,

ხოლო წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით კვლავ შეისყიდიან მასალის ახალ პარტიას. ეს უწყვეტი პროცესია, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე მეორდება. ახლა უკვე თვალსაჩინოა, რომ უშუალოდ მასალა კი არა, ამ უკანასკნელის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები მოძრაობს წელიწადში რამდენჯერმე.

**ბალანსი შესაძლებელია ჩაითვალოს ლიკვიდურად** იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს უნარი გაუმკლავდეს საკუთარ ფინანსურ ვალდებულებებს თავისი აქტივებით, გარე წყაროებიდან სახსრების მოზიდვის გარეშე, ანუ თუ მისი ქონება გვამლევს იმის შესაძლებლობას, რომ აქტივების მყისიერი რეალიზაციის საშუალებით მოხდეს ვალდებულებათა დროული დაფარვა.

საწარმოს ლიკვიდურობა კი ბალანსის ლიკვიდურობასთან შედარებით უფრო ფართო ცნებაა და მასში მოიაზრება საწარმოს მიერ კონკრეტულ მომენტში ვალდებულებათა დაფარვა როგორც შიდა წყაროების ხარჯზე, ასევე გარე წყაროებიდან მოზიდული სახსრებით.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია იმასთან, თუ რამდენად დროულად შეძლებს საწარმო დაფაროს საკუთარი ვალდებულებები. ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე განაპირობებს ასევე საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს და შესაბამისად ლიკვიდურობასაც. რაც მეტია მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე, მით უფრო მაღალია გადახდისუნარიანობის დონე და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე, მით უფრო დაბალი იქნება გადახდისუნარიანობის დონე და ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

**რაც შეეხება გადახდისუნარიანობას,** გადახდისუნარიანობა გვიჩვენებს თუ რაოდენ დროულად შეუძლია ამა თუ იმ საწარმოს დაფაროს საკუთარი ვალდებულებები. მენეჯმენტის ინტერესებში შედის, რომ მუდმივად აკონტროლებდეს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონის ცვლილებებს, რამეთუ დავალიანებების ვადაგადაცილების შემთხვევაში საწარმოს საკმაოდ სოლიდური ოდენობის ჯარიმების გადახდა უწევს. გარდა მენეჯმენტის რგოლისა, საწარმოს გადახდისუნარიანობის



დონის ხარისხით ძირითადად დაინტერესებულნი არიან ასევე მესაკუთრეები, საქმიანი პარტნიორები, კრედიტორები და სამთავრობო სტრუქტურები. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა საზოგადოების ინტერესებშიც შედის.

საწარმოს ლიკვიდურობაში მოიაზრება, გააჩნია თუ არა ამ უკანასკნელს საკმარისი ოდენობის ფულადი თანხები არსებული დავალიანებების დროულად დასაფარავად. მაშასადამე, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ერთმანეთთან არსობრივად დაკავშირებული ცნებებია, თუმცა ისინი ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ მაგალითად: შესაძლებელია ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დადებითად ხასიათდებოდეს, მაგრამ ეს დახასიათება სინამდვილეში არ შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას თუ საბრუნავი აქტივების შემადგენლობაში ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები სჭარბობს ან აქტივები, როლებიც ბაზარზე რეალიზების შემთხვევაში არსებით ფინანსურ დანაკარგებს იძლევიან.

ამასთან, ლიკვიდურობა გადახდისუნარიანობასთან შედარებით ნაკლებად დინამიურ ხასიათს ატარებს. მოცემული კოეფიციენტი, როგორც წესი, გარკვეულ ინტერვალშია მოქცეული. გადახდისუნარიანობა კი სწრაფი და რადიკალური ცვალებადობის შესაძლებლობით ხასიათდება. გადახდისუნარიანი საწარმო სრულიად შესაძლებელია ერთ დღეში გახდეს გადახდისუუნარო, თუ მაგალითად მას კრედიტორისადმი დავალიანების დაფარვის მომენტისთვის არ გააჩნია ფულადი სახსრები იმის და გამო რომ არ მოხერხდა დებიტორების მიერ დავალიანებათა დაფარვა ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში.

გადახდისუუნარობა შესაძლებელია რომ იყოს როგორც შემთხვევითი, ასევე დროებითი და ხანგრძლივი (ქრონიკული). იგი შეიძლება გამოწვეული იყო ისეთი ფაქტორების გავლენით როგორცაა: რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობა, საბრუნავ საშუალებათა არარაციონალური სტრუქტურა, არასაკმარისი უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით და ა.შ.

**საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის საფეხურებია:**

- გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის (ტრენდების)

შესწავლა;

- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი;
- დასკვნების გაკეთება და საჭირო ღონისძიებების შემუშავება;

როგორც აღვნიშნეთ, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შეფასების მიმართულებით, უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მისი გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა. საწარმო ითვლება ფინანსურად მდგრად საწარმოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით მას შესწევს უნარი იმისა, რომ დროულად დაფაროს საკუთარი მოკლევადიანი ვალდებულებები ადვილად რეალიზებადი სახსრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან საქმიანი ურთიერთობების წარმოება მეტად არასაიმედო და რისკის შემცველია.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზისათვის საჭიროა შემდეგი პროცედურების ჩატარება:

1. საჭირო ინფორმაციის მოპოვება;
2. ანალიზური ცხრილების შედგენა და შერჩეული მაჩვენებლების გამოთვლა;
3. საანალიზო მაჩვენებელთა დინამიკური ანალიზი და ტენდენციების გამოვლენა;
4. ფინანსური სტაბილურობის ტიპის დადგენა საწარმოში;
5. საანალიზო მაჩვენებელთა გადახრების შეფასება;
6. მთავარი კოეფიციენტების ფაქტორული და კორელაციური ანალიზის;
7. შესაბამისი დასკვნების გამოტანა და ინტერპრეტაციების შემუშავება;
8. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებებისა და მათი დანერგვის პირობების განსაზღვრა.

გამომდინარე იქიდან, რომ მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც საჭიროა საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩასატარებლად, გამოითვლება

ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ უნდა მოვიშველიოთ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება.

**ფინანსური ანგარიშგება** წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სურათს. ამ უკანასკნელის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პოტენციურ მომხმარებლებს და არა მარტო, მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს ინფორმაცია კი ეხება ისეთ ცნებებს როგორებიცაა:

- საწარმოს აქტივები;
- საწარმოს ვალდებულებები;
- საკუთარი კაპიტალი;
- შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის შემოსულობები და დანაკარგები;
- მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე გახორციელებული განაწილებები;
- საწარმოს ფულადი ნაკადები

მაშასადამე, გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენას საფუძვლად უდევს ბუღალტრული ბალანსი, მასში წარმოდგენილია მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, საკმარისია თუ არა მიმდინარე აქტივების ოდენობა მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. ჩვეულებრივ, მიმდინარე აქტივები უნდა აღემატებოდეს მიმდინარე ვალდებულებებს. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებებთან შედარებით დავასკვნით, რომ ადგილი აქვს დეფიციტს საბრუნავ საშუალებებში.

## 1.2 .საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოს გადახდისუნარიანობის დასახასიათებლად გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებლები, ესენია: გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, და მარაგების დაფარვის მაჩვენებლები.

მას შემდეგ როცა უკვე შედგენილია გადახდისუნარიანობის ბალანსი, ხდება ლიკვიდურობის კოეფიციენტების განხილვა. მოცემული კოეფიციენტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიქმნიან წარმოდგენას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ თუ რამდენად მდგრადია იგი და რამდენად შეუძლია ამ უკანასკნელს მის ხელთ არსებული რესურსებით ვალდებულებათა დროული დაფარვა. აღნიშნული კოეფიციენტებია:

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლა გვამლევს საშუალებას გავიგოთ, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვა შეუძლია საწარმოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. საუკეთესო შემთხვევაში იგი 20%-ს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიიჩნევა ყველაზე საიმედო ინსტრუმენტად ვალების დაფარვასთან დაკავშირებით წარმოდგენის შესაქმნელად

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლა გვამლევს საშუალებას გავიგოთ, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვა შეუძლია საწარმოს მის ხელთ არსებული და მისაღები ფულადი თანხების მეშვეობით. მოცემული კოეფიციენტი უნდა იყოს მოქცეული [1-2] ინტერვალში.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი ასევე ცნობილია როგორც საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი. მისი გამოთვლა საშუალებას გვამლევს გავიგოთ, თუ რამდენჯერ აღემატება მიმდინარე აქტივების ოდენობა მიმდინარე ვალდებულებებს. თავისმხრივ, ეს უკანასკნელი წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ოდენობის

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება მოდის ყოველ ერთ ლარის ვალდებულებაზე. სხვაგვარად, იგი გვიჩვენებს საწარმოს საკუთრებაში არსებული და მისაღები ფულადი სახსრების მეშვეობით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება რომ დაიფაროს. მოცემული კოეფიციენტი 2-სა და 3-ს შორის ინტერვალში უნდა იცვლებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ მისი დონე ნორმას გადააჭარბებს ეს გარკვეულ უკუშედეგებზე მიგვითითებს. კერძოდ, როცა საწარმოში აღინიშნება მიმდინარე აქტივების მკვეთრი ზრდის ტემპი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს ხარვეზებს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის კუთხით რაც თავის მხრივ ამცირებს ავანსირებული ღირებულების ბრუნვის დონეს და საბოლოო ჯამში, ფინანსური მდგომარეობის გუარესებას იწვევს.

გარდა ლიკვიდურობის კოეფიციენტებისა, შეისწავლება ასევე საკუთარი საბრუნავი სახსრების (სსს) მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები.

მზრძანებლური ეკონომიკის პირობებში არ იყო ნებადართული მიმდინარე აქტივების დაფინანსება გრძელვადიანი ვალდებულებებით. დადებითი სხვაობა კი მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის ფინანსდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კაპიტალით. მაშასადამე, ნამეტს მიმდინარე აქტივებისა მიმდინარე ვალდებულებებზე ცალსახად ეწოდებოდა საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

ბიზნესის თანამედროვე სამყაროში კი ზემოთხსენებულმა მიდგომამ პროგრესი განიცადა და ახლა უკვე სავსებით შესაძლებელია მიმდინარე აქტივების დაფინანსება როგორც მიმდინარე ვალდებულებებითა და საკუთარი კაპიტალით, ასევე გრძელვადიანი ვალდებულებებითაც. მიმდინარე აქტივების გრძელვადიანი ვალდებულებებით დაფინანსების ეფექტიანობა იმაში მდგომარეობს, რომ გრძელვადიანი სესხი შედარებით იაფი ჯდება. მოცემული სტრატეგიის პირობებში კი უკვე არამართებული იქნება სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის ცალსახად საკუთარი საბრუნავი სახსრები ეწოდოს. ამიტომაც, ვიზიარებ იმ აზრს, რომლის თანახმადაც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის წარმოადგენს წმინდა მიმდინარე აქტივებს. ის თუ რა გზით

მოახდენს მიმდინარე აქტივების დაფინანსებას ესა თუ ის საწარმო მთლინად დამოკიდებულია მისივე მენეჯმენტის სტრატეგიაზე.

ყველაფერთან ერთად, აღარც ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციაა საკმარისი საკუთარი საბრუნავი სახსრების სიდიდის გამოსათვლელად რის გამოც საწარმოებს უწევთ ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში დაურთონ ინფორმაცია იმის შესახებ, გამოყენებულ იქნა თუ არა მიმდინარე აქტივების დასაფინანსებლად გრძელვადიანი სესხები და რა ოდენობით.

ამრიგად, საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს) თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით გამოითვლება შემდეგნაირად:

საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს) = მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები - მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებები

ან

საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს) = წმინდა მიმდინარე აქტივები - მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებები

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}$$

საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტის გამოთვლა გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, თუ რა წილს შეადგენს საწარმოს ყველაზე ლიკვიდური საშუალებები საკუთარ საბრუნავ სახსრებში. როგორც წესი იგი 0-დან 1-მდე ინტერვალშია მოქცეული და მისი სიდიდე დამოკიდებულია საწარმოში თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროებაზე. მოცემული კოეფიციენტის ზრდა კი საწარმოსათვის წარმოადგენს დადებით მოვლენას.

$$\text{ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი} = \frac{\text{ფული} + \text{ფასიანი ქაღალდები} + \text{დებიტორები}}{\text{საშუალო დღიური ხარჯი}}$$

ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონის გამოთვლა გვაძლევს საშუალებას დავახასიათოთ, თუ რამდენი დღის ხარჯის დაფარვაა შესაძლებელი

საწარმოს ხელთ არსებული ფულადი აქტივებით. რაც შეეხება საშუალო დღიურ ხარჯს, იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საშუალო დღიური ხარჯი} = \frac{\text{მოგება- ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ხარჯები}}{\text{წელიწადის დღეთა რიცხვი}}$$

ანალიზისას ასევე მნიშვნელოვანია ბივერის შემდეგი მაჩვენებლების შესწავლა:

$$\text{მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{მიმდ. ვალდებულებები - მიმდ. მოთხოვნები}}$$

$$\text{პერსპექტიული ლიკვიდურობა} = \frac{\text{წმინდამოგება + ამორტიზაცია}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

$$\text{კრიტიკული ლიკვიდურობა} = \frac{\text{ფულადი თანხები + დებიტ. დავალიანება}}{\text{ვადადამდგარი ვალდებულება + მოკლევად. ვალდებულება}}$$

კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი მოქცეული უნდა იყოს 0.7-სა და 0.8-ს შორის არსებულ ინტერვალში.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა ერთმანეთთან არსობრივად დაკავშირებული ცნებებია. შესაბამისად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოთვლა საშუალებას გვაძლევს გავზომოთ გადახდისუნარიანობის დონე.

საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის ამოცანებს წარმოადგენს:

- გადახდისუნარიანობის ბალანსის დახასიათება;
- ლიკვიდურობის დონის გამოკვლევა;
- ფულადი თანხების საჭიროების არსებობის გამოკვლევა;
- გადახდისუნარიანობის დონის ამაღლების წინადადებების შემუშავება;

როგორ უკვე აღვნიშნეთ, ლიკვიდურობის კოეფიციენტების საშუალებით იზომება საწარმოს გადახდისუნარიანობის დონე. ლიკვიდურობის კოეფიციენტების ანალიზის

მიზანს კი წარმოადგენს, რომ მოხდეს მათი დინამიკური ცვლილების ტემპის შესწავლა, მოცემულ საკვლევ პერიოდში მათი მერყეობის ხარისხის დახასიათება, წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით არსებული გადახრების გამოთვლა, აღნიშნულ ცვლილებათა მიზეზების დადგენა და გადახდისუნარიანობის ამადლების წინადადებების შემუშავება. ამ ყველაფრის შეჯამებით უკვე გადახდისუნარიანობის ანალიზის სისტემის ფორმულირება შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვაჩინოთ:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოთვლა თითოეული საკვლევ წლისათვის;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის ცხრილების შედგენა და კომენტარები;
- ვარიაციის კოეფიციენტების გამოთვლა, მერყეობის ხარისხის დასადგენად;
- კორელაციის კოეფიციენტების გამოთვლა, ლიკვიდურობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გასაზომად;
- წინა წლიდან ან გეგმური მაჩვენებლებიდან გადახრების გამოვლენა და ანალიზი;
- დასკვნების გაკეთება და წინადადებების შემუშავება გადახდისუნარიანობის დონის ასამაღლებლად;

გასათვალისწინებელია აქვე ის ფაქტიც, რომ ანალიზის საფეხურების რიცხვი დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკაზე და ანალიზის მოცულობის შესაბამისად იგი შეიძლება შეიცვალოს.

მას შემდეგ, როცა უკვე მოხდება ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის ცხრილის შედგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, გვინტერესებს თუ რამდენად მერყევი იყო მოცემული კოეფიციენტები საკვლევ პერიოდში. ვინაიდან მით მეტად სტაბილურია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ხარისხი, რაც ნაკლებად მერყევი კოეფიციენტები და პირიქით. ამის დასადგენად შეისწავლება ვარიაციის კოეფიციენტი.

ვარიაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს დაშორებას სიმრავლის წევრებს შორის. ამდენად, რაც მეტად უახლოვდება ეს უკანასკნელი 100%-ს მით მეტად მერყევი



საანალიზო მაჩვენებლები და შესაბამისად, იზრდება არასტაბილურობის ხარისხიც საკვლევ პერიოდში. როგორც წესი, ვარიაციის კოეფიციენტი საყურადღებოა უკვე იმ მომენტიდან, როცა იგი გადააჭარბებს 10%-ს.

$$V (\text{ვარიაციის კოეფიციენტი}) = \frac{\sigma * 100\%}{\bar{x}}$$

სადაც  $\sigma$  - არის საშუალო კვადრატული გადახრა;

$X$  - მოცემულ შემთხვევაში გამოვიყენოთ ლიკვიდურობის კოეფიციენტების აღსანიშნავად. შესაბამისად  $\bar{X}$  - არის ზემოთ ხსენებული კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული. იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{x} = \frac{\sum x}{n}$$

რაც შეეხება საშუალო კვადრატულ გადახრას, ცალკე აღებული საშუალო კვადრატული გადახრა გამოიყენება სიმრავლის შემადგენელი წევრების გაბნევის ხარისხის დასახასიათებლად. იგი გვიჩვენებს თუ რამდენადაა შემჭიდროვებული სივრცე საშუალო არითმეტიკულთან. კერძოდ, იგი გვიჩვენებს სივრცეს საშუალო არითმეტიკულის მარჯვენა და მარცხენა დიაპაზონში, რომელშიც მოქცეულია სიმრავლის შემადგენელი ელემენტების 70-80%. საშუალო კვადრატული გადახრის გამოთვლით შესაძლებლობა გვეძლევა დავახასიათოთ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ  $\sigma > 0$ , რამდენადაც ეს იგი აღემატება 0-ს შესაბამისად მატულობს საშუალოდან გაბნევის ხარისხიც, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ არასტაბილურ გარემოებაზე მეტყველებს. და პირიქით, რაც უფრო ახლოსაა ეს კოეფიციენტი 0-თან მით ნაკლების კოეფიციენტების მერყეობის ხარისხიც. საშუალო კვადრატული გადახრა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum x^2}{n} - (\bar{x})^2}$$

შემდეგი ნაბიჯია კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა. ეს კოეფიციენტი გამოიყენება ლიკვიდურობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გასაზომად. საწარმოს ლიკვიდურობაზე კი უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ ფაქტორების მიეკუთვნება: მოთხოვნების, ფულადი თანხების, მიმდინარე დავალიანებების, მატერიალური მარაგების, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანუ საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები და ასე შემდეგ.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის ფაქტორი ლიკვიდურობაზე, საჭიროა მოცემული საანალიზო პერიოდისთვის გამოვთვალოთ კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები.

კორელაციის კოეფიციენტი გამოიყენება ორ ცვლადს შორის არსებული კავშირის სიძლიერის გასაზომად. ეს ურთიერთკავშირი შესაძლებელია რომ იყოს როგორც სრულყოფილი, ასევე ნაწილობრივი. უარყოფითი ან დადებითი. იმ შემთხვევაში, თუ ცვლადებს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება ვამბობთ, რომ კორელაცია დადებითია, ხოლო თუ მათ შორის დამოკიდებულება უკუპროპორციულია, ვამბობთ, რომ კორელაცია უარყოფითია.

**სრულყოფილი დადებითი კორელაცია ( r = 1 )** გულისხმობს, რომ ერთი ცვლადის ზრდა იწვევს დაკავშირებული ცვლადის ზრდას. ხოლო მისი შემცირება, დაკავშირებული ცვლადის შემცირებას.

**სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია ( r = -1)** გულისხმობს, რომ ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორე ცვლადის მნიშვნელობის შემცირებას და პირიქით.

( r = 0 ) - გვიჩვენებს, რომ კავშირი ორ ცვლადს შორის არ არსებობს.

კორელაციის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$r = \frac{n \cdot \sum xy - \sum x \cdot \sum y}{\sqrt{[n \cdot \sum x^2 - (\sum x)^2] \cdot [n \cdot \sum y^2 - (\sum y)^2]}}$$

მოცემულ შემთხვევაში:

**X** – წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, ანუ ფაქტორი;

Y - წარმოდგენილია როგორც დამოკიდებული ცვლადი, ანუ შედეგი;

n - წარმოადგენს წევრთა რაოდენობას მოცემულ სიმრავლეში;

მას შემდეგ რაც კორელაციის კოეფიციენტს დავიანგარიშებთ, უნდა გამოვთვალოთ დეტერმინაციის კოეფიციენტი (D). დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს შედეგობრივი მაჩვენებლის ცვლილებაში რა ხვედრითი წილი უჭირავს პროცენტულად ფაქტორი მაჩვენებლის ანუ დამოუკიდებელი ცვლადის გავლენას.

დეტერმინაციის კოეფიციენტი მიიღება კორელაციის კოეფიციენტის კვადრატში აყვანით:

$$D = r^2$$

დინამიკური ანალიზის შემდგომ, უნდა იქნას გამოვლენილი მიმდინარე წლის ლიკვიდურობის კოეფიციენტების გადახრები წინა წლის, ან გეგმური მაჩვენებლებიდან. ხოლო მას შემდეგ, როცა მიღებული მაჩვენებლების ურთიერთშედარების საფუძველზე გავიგებთ გადახრებს, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხის გაზომვა.

იმისათვის, რომ გავზომოთ გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხი, ამ მიზნით გამოვიყენებთ ელიმინირების მეთოდს. ამ უკანასკნელს გააჩნია ორი სახესხვაობა. ესენია: **ჯაჭვური ჩასმის ხერხი და აბსოლუტური სხვაობის ხერხი.**

ფაქტორ-მაჩვენებლებსა და საანალიზო მაჩვენებელს შორის კავშირი შესაძლებელია ორი სახის იყოს: ფუნქციური და სტოხასტიკური.

ფუნქციური კავშირი წარმოადგენს განსაზღვრად კავშირს, სადაც მოქმედი ფაქტორის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება განსაზღვრული, არაშემთხვევითი მნიშვნელობები. ხოლო სტოხასტიკური კავშირი წარმოადგენს ხდომილებითი კავშირის სახეს, რომელშიც არ არის შესაძლებელი ისეთი ფაქტორული სისტემის მოდელის აგება, რომელიც იქნება განსაზღვრადი.

აბსოლუტური სხვაობისა და ჯაჭვური ჩასმის ხერხების გამოყენება კი შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციური კავშირის შემთხვევაში.

**აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებისას**, რომ გავიგოთ ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა, საჭიროა მოცემული ფაქტორის „გადახრა“ გავამრავლოთ მწკრივში

მის წინ არსებული ყოველი ფაქტორის ფაქტობრივ და ყოველი შემდგომი ფაქტორის საბაზისო მნიშვნელობაზე.

**ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებისას**, რომ გავიგოთ ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა, თავდაპირველად საჭიროა შევადგინოთ ფაქტორთა დაკავშირების პირველი მწკრივი, სადაც ყოველი ფაქტორი იქნება აღებული საბაზისო(წინა წლის, ან გეგმურ) დონეზე. ყოველი შემდეგი მწკრივის შედგენისას კი თითოეული საბაზისო ფაქტორი თანდათანობით შეიცვლება ფაქტობრივი მნიშვნელობებით. ყოველი ასეთი მწკრივის გაანგარიშების შედეგად მიღებულ მნიშვნელობას გამოვაკლებთ მისი წინა მწკრივის გაანგარიშების შედეგს, ხოლო მიღებული სხვაობები კი წარმოადგენენ კონკრეტული ფაქტორის გავლენას.

იმ შემთხვევაში, თუ ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში არსებობს ფარდობის მოქმედება, მაშინ აუცილებელია რომ გამოყენებულ იქნას ჯაჭვური ჩასმის ხერხი.

მას შემდეგ, როცა უკვე მოვახდენთ მოცემულ ფაქტორთა გავლენის ხარისხის გაზომვას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს და შევიძუშავებთ გარკვეულ რეკომენდაციებს. ამ ყველაფერს კი ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ მოცემული ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილში, საანალიზო საწარმოების მაგალითზე.

ახლა განვიხილოთ სტაბილურობის ცნება საწარმოს კონტექსტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტაბილურობაში მოიაზრება საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობა რომელიც წარმოადგენს მის გარკვეულ უნარს იმისა, რომ გაუმკლავდეს ისეთ პრობლემებს, როგორცა: საყრდენი თანამშროლეებისა თუ კლიენტის დაკარგვა, გაყიდვების შემცირება, კაპიტალის უკმარისობა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემებისგან არცერთი კომპანია არაა დაზღვეული, თუმცა რიგ შემთხვევებში ისინი არ აღიარებენ ამას. სწორედ ამისთვის არსებობს ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, რომ თითოეულ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია კომპანიის ფინანსური უსაფრთხოების შესაფასებლად.

ამა თუ იმ კომპანიის არსებობა ბიზნესის სფეროში დამოკიდებულია როგორც მოცემული კომპანიის, ასევე მასთან ურთიერთობაში მყოფი კომპანიების ფინანსურ სტაბილურობაზე. არცერთი საწარმო არ მოისურვებს საქმის დაჭერას ისეთ

კომპანიასთან, რომელიც გაკოტრების პირას იმყოფება. როგორც წესი, ბიზნესს უმეტესად მცირე საწარმოები ტოვებენ ვიდრე მსხვილი კომპანიები. ამასთან, ფინანსურ სტაბილურობასაც მეტი მნიშვნელობა მცირე საწარმოებისთვის გააჩნია, ვიდრე დიდი კომპანიებისთვის. ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ როცა მცირე საწარმო დგება ფინანსური პრობლემების წინაშე ჩნდება გაქრობის საფრთხეც, დიდი კომპანიების შემთხვევაში კი, თუ მათ ფინანსური პრობლემები შეექმნებათ, მოახდენენ რესტრუქტურირებას, ან უბრალოდ მიყიდნიან სხვა კომპანიას. შესაბამისად, მისი ვალდებულებების შესრულებაც მყიდველ კომპანიას დაეკისრება.

ფინანსური სტაბილურობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტია და მასში მოიაზრება ის, თუ რამდენად დამოუკიდებელია საწარმო ფინანსურად. ფინანსური სტაბილურობა კავშირშია საწარმოს საერთო ფინანსურ სტრუქტურასთან. მოცემულ სტრუქტურას გააჩნია შემდეგი სახე: „საკუთარი კაპიტალი - ნასესხები სახსრები“.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში ნასესხები კაპიტალის წილი ჭარბობს საკუთარი კაპიტალის წილს და ყველა კრედიტორი ერთდროულად მოითხოვს მისგან ვალდებულებების დაფარვას, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოკლევადიან პერიოდში საწარმოს გაკოტრება, რადგან იგი ვერ შეძლებს ამ ვალდებულებების დაფარვას საკუთარი სახსრებით.

საწარმოს ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- საწარმოს უზრუნველყოფა საოპერაციო საქმიანობის ნორმალური განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით;
- ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი დაბანდება საწარმოს ქონებაში და მათი რაციონალური გამოყენება;
- საიმედო პარტნიორული ურთიერთობების დამკვიდრება მყიდველებთან, მომწოდებლებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან და სახელმწიფოსთან;
- საწარმოს რეპუტაცია, როგორც დარგში, ასევე საზოგადოებაში;

მეწარმე დაინტერესებულია საწარმოს ფინანსური სტაბილურობით, რამდენადაც ეს უკანასკნელი განაპირობებს ბიზნესის წარმატებას სამომავლოდ. ფინანსური

სტაბილურობის დასახასიათებლად კი გამოიყენება აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები.

**ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებია:**

$$\text{საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

მოცემული კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს ზოგად ფინანსურ სტრუქტურას, რომლის მინიმალური მნიშვნელობაც არ უნდა იყოს ნაკლები ერთზე, რამეთუ ამ შემთხვევაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასაიმედო ხდება, ხოლო მისი ზრდა საწარმოსათვის დადებით მოვლენას წარმოადგენს.

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა წილი უჭირავს საკუთარ კაპიტალს მთლიან აქტივებში. მისი საშუალებით ვიგებთ, ქონების რა ნაწილი იქნა შეძენილი საკუთარი კაპიტალის მეშვეობით. ამ კოეფიციენტიც ოპტიმალური სიდიდე დასავლეთის ქვეყნებისთვის 60%, ხოლო იაპონიისთვის 20% წარმოადგენს. ეკონომისტები ამ ფაქტს ხსნიან იმით, რომ აშშ-ში სახსრებს როგორც წესი მოსახლეობიდან იზიდავენ, ხოლო იაპონიაში - ბანკებიდან. მიუხედავად ამისა, მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი უნდა აღემატებოდეს ვალდებულებების წილს, ვინაიდან ეს უკანასკნელი განაპირობებს მეტ ალბათობას იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში ვალდებულებები საკუთარი სახსრებით იქნას დაფარული. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი უნდა იყოს მეტი 0.5-ზე.

$$\text{კაპიტალიზაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{(\text{გრძელვად. ვალდებ.} + \text{საკუთ. კაპიტალი})} ;$$

$$\text{საკ.კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან} = \frac{\text{საკ. კაპიტალი} - \text{პრივილეგ.სააქციო კაპიტალი}}{\text{აქტივები} - \text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან =

$$\frac{\text{საკ. კაპიტალი} - \text{პრივილეგ. სააქციო კაპიტალი}}{\text{საკ. კაპიტალი} + \text{გრძელვად. ვალდებულებები}}$$

მოცემული კოეფიციენტებიც გამოიყენება იმისთვის, რომ მოხდეს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების შეფასება. საწარმო რომლის საქმიანობაც მეტად დაფუძნებულია მოზიდულ სახსრებზე, ვიდრე საკუთარ კაპიტალზე, მეტად რისკის შემცველია, ვიდრე საწარმო, რომელშიც საკუთარი კაპიტალი სჭარბობს ნასესხებ სახსრებს. ვინაიდან, სხვა ყველაფერთან ერთად, ნასესხებ კაპიტალზე მას უწევს პროცენტის გადახდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას საერთოდ არ ექნება მოგება.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა =

$$= \frac{\text{საკ. კაპიტალი} + \text{გრძელვად. ვალდებულებები} - \text{გრძელვად. აქტივები}}{\text{მიმდინარე აქტივები}}$$

თუ ჩვენ შევაბრუნებთ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტს, მივიღებთ საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტს. ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივის ჯამი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებულ მაჩვენებელს. მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რამდენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. საუკეთესო შემთხვევაში მისი მნიშვნელობა ერთის ტოლი უნდა იყოს. საწარმო ფინანსურად მით მეტად ხდება დამოკიდებული კრედიტორებზე იმდენად, რამდენადაც იზრდება მოცემული მაჩვენებელი და

შესაბამისად, თავს იჩენს საფრთხეც ფინანსური სტაბილურობის მხრივ. ხოლო თუ მისი მნიშვნელობა გაუტოლდება ერთს, ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს რომ საწარმო მთლიანად მესაკუთრეების კონტროლის ქვეშაა. მაშასადამე, ეს კოეფიციენტი ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლადაც გვევლინება, რამეთუ მისი ზრდა მიგვანიშნებს რისკის ზრდაზე.

$$\text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}}$$

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა მოცულობის ვალდებულებები მოდის ყოველ ერთი ლარის აქტივზე. თუ დავაჯამებთ მოცემულ კოეფიციენტსა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტს, მივიღებთ ერთს.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{სსს}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ იმასთან დაკავშირებით, თუ საკუთარი კაპიტალის რა ნაწილი იქნა გამოყენებული მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად. ანუ საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც საბრუნავ საშუალებებში იქნა დაბანდებული. ხოლო დანარჩენი ნაწილი კი საკუთარი კაპიტალისა დაბანდებულია გრძელვადიან აქტივებში, ანუ მოხდა მათი კაპიტალიზება. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტის ნორმა განისაზღვრება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

$$\text{გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ნაწილია გრძელვადიან აქტივებში კრედიტორების მიერ დაფინანსებული და რა წარმოადგენს საწარმოს მესაკუთრეთა საკუთრებას მაშინ, როცა



გრძელვადიანი ვალდებულებები მოხმარდა მხოლოდ გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გრძელვადიანი ვალდებულებებით მიმდინარე აქტივების დაფინანსებაც მოხდა, მაშინ საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტის ფორმულის გამოთვლისას მენეჯმენტი ვალდებულია გამოიყენოს გრძელვადიანი სესხების მიზნობრიობის ანალიზური ინფორმაცია. მაშასადამე, საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტის ფორმულის მრიცხველში, გრძელვადიანი ვალდებულებები უნდა შევამციროთ გრძელვადიანი სესხების თანხის იმ მოცულობით, რომელიც დაბანდებულ იქნა მიმდინარე აქტივებში.

$$\text{მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვად ვალდებულებები}}{\text{ვალდებულებები}}$$

გრძელვადიანი კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა წილი უკავია გრძელვადიან ვალდებულებებს მთლიანად ვალდებულებებში. მისი ნორმა განისაზღვრება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

$$\text{პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოგება \% - ისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საპროცენტო თანხა}}$$

მოცემული კოეფიციენტი წარმოდგენას გვიქმნის პროცენტის უზრუნველყოფის ხარისხზე და ასევე ფინანსური რისკის ხარისხზეც გვაწვდის ინფორმაციას. რაც მეტად აღემატება ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთს, მით უფრო ნაკლები პრობლემა წარმოჩინდება საწარმოსათვის პროცენტის გადახდის თვალსაზრისით. ხოლო თუ ეს მაჩვენებელი შემცირდება მოსალოდნელია ფინანსური რისკები. ყველაფერთან ერთად, პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტს გააჩნია ახლო კავშირი ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელთან.

ასევე მნიშვნელოვანია გავეცნოთ მარაგების დაფარვის კოეფიციენტებს როგორებიცაა: მარაგების დაფარვის საერთო კოეფიციენტი და საკუთარი საბრუნავი სახსრებით მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი.

$$\text{მარაგების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფინანსების "ნორმალური" წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგები}}$$

მარაგების დაფარვის ნორმალურ წყაროებს მიეკუთვნება: მოკლევადიანი სესხები, მიღებული ავანსები, საკუთარი საბრუნავი სახსრები და ვალდებულებები მოწოდებიდან. ამ უკანასკნელს არ მიეკუთვნება გასაცემი ხელფასები, დივიდენდები და დავალიანება ბიუჯეტისადმი. მარაგების დაფარვის კოეფიციენტი არ უნდა იყოს ნაკლები ერთზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს იჩენს პრობლემები ფინანსური მდგომარეობის კონტექსტში.

$$\text{მატ. მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით} = \frac{\text{საკ. საბრუნავი სახსრები}}{\text{მატერიალური მარაგები}}$$

მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა ნაწილი იფარება მატერიალური მარაგებისა საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიდან მათი მნიშვნელოვნების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი კოეფიციენტები: საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციისა და პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტები. რამეთუ ესენი წარმოადგენენ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მთავარ ფარდობით მაჩვენებლებს.

თუმცა, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დასახასიათებლად ფარდობით მაჩვენებლებთან ერთად გამოიყენება ასევე აბსოლუტური მაჩვენებლებიც.

გამოიყოფა საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ოთხი ტიპი:

I. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, რომელიც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

**მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები**

ეს უტოლობა აღწერს საუკეთესო შემთხვევას, როცა შესაძლებელია მატერიალური მარაგები მთლიანად დაიფაროს საკუთარი საბრუნავი სახსრებით. ხოლო საწარმოში

რომელიც ნორმალურად ფუნქციონირებს, საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მატერიალურ მარაგებში არ უნდა ჩამოუვარდებოდეს 50%-ს.

**II. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, რომელიც გამოიხატება შემდეგიუტოლობით:**

**საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგის ფორმირების „ნორმალური“ წყაროები**

**III. არასტაბილური (არამყარი) ფინანსური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება შემდეგი უტოლობით:**

**მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები**

**IV. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა:**

რომელშიც მოიაზრება მესამე უტოლობა მაშინ, როცა ამ უკანასკნელს თან ერთვის ვალები რომელთა გადახდაც ამ მომენტამდე ვერ მოხერხდა და ასევე სესხები და ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაშინ, როცა საქმე გვაქვს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შესწავლასთან, ანალიზისას მენეჯმენტს აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს ყოველი ის მაჩვენებელი რომლებიც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი ჩვენ მიერ. ეს ყველაფერი შესაძლებლობას მისცემს მას, რომ შეიმუშაოს გარკვეული სტრატეგიები და განახორციელოს ისინი ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების მიზნით.

## თავი 2. საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები

### 2.1 საწარმოთა გადახდისუნარიანობის ბალანსის ანალიზი

საწარმოთა გადახდისუნარიანობის ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია. მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობას, ლიკვიდურობას, მათ ცვლილებას და მოქმედ ფაქტორებს. დანართებში მოცემულია შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას და შპს ფრესკოს ფინანსური ანგარიშგებები.

„შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ დაარსდა 1992 წელს და იგი სავაჭრო ცენტრების, საცალო ვაჭრობისა და გართობის სფეროების ლიდერია ახლო აღმოსავლეთის აფრიკისა და აზიის რეგიონებში. საქართველოში იგი დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით 2011 წლის 23 დეკემბერს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო კოდია: 404923749. საქართველოში მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სუპერმარკეტებისა და ფიპერმარკეტების ქსელის ფუნქციონირებასა და მართვასთან. თავისი პირველი ჰიპერმარკეტი - „კარფური“ კომპანიამ გახსნა 2012 წელს თბილისში. 2018 წლის მდგომარეობით კი კომპანია წარმოდგენილია ათი სუპერმარკეტით, ორი ფიპერმარკეტითა და ერთი მცირე ზომის სუპერმარკეტით.

სუპერმარკეტების ქსელი, „შპს ფრესკო“ 2012 წლიდან დაწყებული ოპერირებს საქართველოს ბაზარზე. დღეისათვის იგი აერთიანებს რვა სუპერმარკეტს. მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სუპერმარკეტების ქსელის ფუნქციონირებასა და მართვასთან.

საანალიზო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მოპოვების შემდეგ საჭიროა შევადგინოთ მოცემული საწარმოების გადახდისუნარიანობის ბალანსი, რომელის შედგენაც ხდება მათივე ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე. გადახდისუნარიანობის ბალანსში მოცემულია ინფორმაცია შესაბამისი კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებისა და მიმდინარე აქტივების სტრუქტურის შესახებ. მომდევნო ქვეთავში ჩვენ შევადგენთ და განვიხილავთ თითოეული საანალიზო საწარმოს გადახდისუნარიანობის ბალანსს და გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს.

ცხრილი 2.1.1.

„შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ გადახდისუნარიანობის ბალანსი 2018 წლის ბოლოს.

მიმდინარე აქტივები	თანხა ათ.ლ 2017	ხვ/წ %	თანხა ათ.ლ 2018	ხვ/წ %	მიმდინარე ვალდებულებები	თანხა ათ. ლ 2017	ხვ/წ %	თანხა ათ. ლ 2018	ხვ/წ %
მარაგები	27562	31	29978	30	სესხები და კრედიტები	169801	63	209255	67
სხვა მოთხოვნები	9101	10	6866	7	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	97092	36	99466	32
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	51472	59	63595	63	ანარიცხები	1761	1	2399	1
<b>ჯამი</b>	<b>88135</b>	<b>100</b>	<b>100439</b>	<b>100</b>	<b>ჯამი</b>	<b>268654</b>	<b>100</b>	<b>311120</b>	<b>100</b>

მოცემული მაჩვენებლების გათვალისწინებით, 2018 წელს „შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 210681 ლარით. ეს თავისთავად უარყოფითი მოვლენაა და მიგვითითებს საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების (სსს) ნაკლოვანებაზე. თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ წინა წლის მონაცემებს, როცა სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის შეადგენდა (-180519) ლარს, ვნახავთ, რომ ამ მხრივ 2018 წელს შეინიშნება მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით 2018 წელს კომპანიის მიმდინარე აქტივებში შეინიშნებოდა საკმაოდ მკვეთრი ზრდა 12304 ლარის ოდენობით, სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის მაინც შემცირდა რაც განპირობებული იყო მიმდინარე ვალდებულებების საგრძნობი ზრდით 42466 ლარის ოდენობით.

## ცხრილი 2.1.2

„შპს ფრესკოს“ გადახდისუნარიანობის ბალანსი 2018 წლის ბოლოს.

მიმდინარე აქტივები	თანხა ლ. 2017	ხვ/წ %	თანხა ლ. 2018	ხვ/წ %	მიმდინარე ვალდებულებები	თანხა ლ. 2017	ხვ/წ %	თანხა ლ. 2018	ხვ/წ %
მარაგები	4743825	53	5053386	52	სავაჭრო ვალდებულებები	7882610	94	9833569	94
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	219218	2	241526	2	მიღებული ავანსები	8503	1	51446	1
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5107	1	4482	1	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	436354	5	518342	5
წინასწარ გადახდილი გადასახადები	155993	2	157608	2					
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	47264	1	159352	1					
ფული და ფულის ექვივალენტები	3651005	41	4106211	42					
<b>ჯამი</b>	<b>8822412</b>	<b>100</b>	<b>9722565</b>	<b>100</b>	<b>ჯამი</b>	<b>8327467</b>	<b>100</b>	<b>10403358</b>	<b>100</b>

მოცემული მაჩვენებლების საფუძველზე ვასკვნიტ, რომ 2018 წელს „შპს ფრესკოს“ გადახდისუნარიანობის ბალანსში, ისევე როგორც წინა კომპანიის შემთხვევაში, სხვაობა მიდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის უარყოფით მნიშვნელობას იღებს (-680793 ლარი) რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ უარყოფით მოვლენას წარმოადგენს კომპანიისთვის და საკუთარი საბრუნავი სახსრების (სსს) ნაკლოვანებაზე მიუთითებს. წინა წელს ეს მაჩვენებელი დადებითი იყო და შეადგენდა 494944 ლარს. მისი ამგვარი გაუარესება გამოწვეულ იქნა მიმდინარე ვალდებულებების მკვეთრი ზრდით მიმდინარე აქტივებთან შედარებით.

## 2.2 ლიკვიდურობის კოეფიციენტების ანალიზის შედეგები

გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენის შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვქმნება განვიხილოთ ლიკვიდურობის კოეფიციენტები თითოეული საწარმოსათვის, რომლებიც

გვიჩვენებენ რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები. შევადაროთ ისინი წინა წლის მაჩვენებლებს და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. „შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ შემთხვევაში განვიხილავთ შემდეგ ლიკვიდურობის კოეფიციენტებს:

**ცხრილი 2.2.1**

**„შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები ცვლილება 2017 წელთან შედარებით**

მაჩვენებლები	2017 წელი კოეფიციენტი	2018 წელი	
		კოეფიციენტი	%-ად 2017 წელთან
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.19	0.2	105.26
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.23	0.23	100
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.33	0.32	96.97
ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი	58.77	56.22	95.66
კრიტიკული ლიკვიდურობა	0,23	0,23	100

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი აჩვენებს თუ რა ნაწილის დაფარვა შეუძლია საწარმოს მიმდინარე ვალდებულებებიდან მისივე განკარგულებაში იმ მომენტისათვის არსებული ფულადი თანხებით და ნორმალურ შემთხვევაში იგი არ უნდა ჩამოუვარდებოდეს 20%-ს. წინა წელს ეს მაჩვენებელი 0,19ის ტოლი იყო 2018 წლისათვის კი იგი ნორმის ფარგლებშია. ცხრილის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კოეფიციენტი 2017 წელთან შედარებით 5.26 %-ით გაიზარდა.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს მიმდინარე ვალდებულებების რამდენ პროცენტს ფარავს საწარმო არსებული და მისაღები ფულადი თანხებით და მისი

მინიმალური მნიშვნელობა, ნორალურ შემთხვევაში ერთის ტოლია. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით უცვლელია და ამ მხრივ მოცემულ კომპანიას პრობლემები აღენიშნება.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს და ნორმალურ შემთხვევაში იგი 2-სა და 3-ს შორის უნდა მერყეობდეს თუმცა ჩვენს შემთხვევაში იგი 0.32-ის ტოლია და ამ ხრივ 3.03%-ით ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს.

ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი გვიჩვენებს თუ რამდენი დღის ხარჯია დაფარული ფულადი აქტივებით. ჩვენს შემთხვევაში დღეების ეს ოდენობა 56.22-ის ტოლია. მოცემული მაჩვენებელი 2 დღით ჩამოუვარდება წინა წლის მნიშვნელობას (58.77-ს).

გამომდინარე იქიდან, რომ ამ კომპანიას არ უფიქსირდება ვადადამდგარი ვალდებულებები, კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტს ექნება ისეთივე მნიშვნელობა 2017-2018 წლებისთვის, რაც სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტს და უდრის 0.23-ს ორივე წლის მიხედვით. ნორმალურ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 0.7-სა და 0.8-ს შორის უნდა მერყეობდეს. შესაბამისად მდგომარეობა ამ მხრივაც საყურადღებოა.



„შპს ფრესკოს“ შემთხვევაში კი განვიხილავთ ლიკვიდურობის შემდეგ კოეფიციენტებს. ასევე დავითვლით საკუთარი საბრუნავი სახსრების ოდენობას.

### ცხრილი 2.2.2

#### „შპს ფრესკოს“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	2017 წელი კოეფიციენტი	2018 წელი	
		კოეფიციენტი	%-ად 2017 წელთან
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.44	0.39	88.64
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.47	0.43	91.49
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.06	0.93	87.74
ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი	31.05	33.28	107.18
კრიტიკული ლიკვიდურობა	0,47	0,43	91,49

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი, როგორც უკვე განვიხილეთ, საწარმოში მოცემული მომენტისათვის არსებული ფულადი სახსრების მეშვეობით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაზე გვიქმნის წარმოდგენას და არ უნდა ჩამოუვარდებოდეს 20%-ს ჩვენს შემთხვევაში იგი ნორმის ფარგლებშია მოქცეული. თუმცა წინა წელთან შედარებით შეიმჩნევა მდგომარეობის გაუარესება ვინაიდან ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემების მიხედვით 0,44-ის ტოლ მნიშვნელობას იღებდა. კოეფიციენტი შემცირებულია 11.36%-ით 2017 წელთან შედარებით.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლა ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა მის ხელთ არსებული და მისაღები ფულადი სახსრებით ერთობლივად. როგორც წესი, მდგომარეობა სტაბილურია თუ ამ უკანასკნელის მინიმალური მნიშვნელობა ერთს უტოლდება, „შპს ფრესკოს“ შემთხვევაში იგი 0,43-ის ტოლია და ამ მხრივაც

მდგომარეობის გაუარესების ტენდენცია აღინიშნება წინა წლის მონაცემებთან შედარებით, როცა იგი 0,47-ს უდრიდა. შესაბამისად, კოეფიციენტი შემცირდა 8.51 %-ით.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლა გვამღევეს საშუალებას გავიგოთ, თუ რამდენჯერ სჭარბობს საწარმოში მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს. მდგომარეობა სტაბილურია როცა იგი 2-სა და 3-ს შორისაა მოთავსებული ჩვენს შემთხვევაში კი იგი 0.93-ის ტოლია რითიც 13%-ით ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს და სათანადო ყურადღებას საჭიროებს.

ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი გვიჩვენებს რამდენი დღის ხარჯია დაფარული ფულადი აქტივებით და 2018წლისთვის 33 დღის ტოლია, რაც წინა წელს (31.05დღე) ორი დღით აღემატება. კოეფიციენტი 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 7.18 %-ით.

ვინაიდან „შპს ფრესკოს“ არ უფიქსირდება ვადადამდგარი ვალდებულებები, კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი ამ კომპანიის შემთხვევაშიც, ისევე როგორც კარფურის მაგალითზე, ემთხვევა სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტს და უდრის 0,43-ს რაც 0.04-ით ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს. ნორმალურ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 0.7-სა და 0.8-ს შორის უნდა მერყეობდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოს გადახდისუნარიანობა იზომება ლიკვიდურობის კოეფიციენტების მეშვეობით. მას შემდეგ რაც უკვე გამოვთვალეთ ლიკვიდურობის კოეფიციენტები ორივე კომპანიისათვის, დროა მოვახდინოთ მათი ანალიზი. შევისწავლოთ მათი დინამიკა, ვიმსჯელოთ მათ მერყეობის ხარისხზე საკვლევ პერიოდში, წარმოვაჩინოთ მათი გადახრები წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, გამოვიკვლიოთ ამ ცვლილებათა მიზეზები და შევიმუშავოთ გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად მერყევი იყო მოცემული მაჩვენებლები მოცემულ პერიოდში, შევისწავლით ვარიაციის კოეფიციენტებს. ვაჩვენოთ ამ უკანასკნელის გაანგარიშება აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაგალითზე: თავდაპირველად, აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი აღვნიშნოთ X-ით.

წლები	X	x <sup>2</sup>
2017	0,19	0,036
2018	0,2	0,04
$\Sigma$	0,39	0,076

$$\bar{x} = 0,39/2 = 0.195$$

$$\text{საშუალო კვადრატული გადახრა} = (0,076/2 - 0,195^2)^{1/2} = 0,0045$$

$$\text{ვარიაციის კოეფიციენტი} = (0,0045*100) / 0,195 = 2.31\%$$

იგივე პრინციპით გამოითვლება საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტები დანარჩენი მაჩვენებლებისთვისაც. საბოლოო შედეგები კი ორივე შპს-სთვის ასახულია შემდეგ ცხრილებში:

### ცხრილი 2.2.3

„შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ ლიკვიდურობის კოეფიციენტების საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი.

კოეფიციენტები	საშუალო კვადრატული გადახრა	ვარიაციის კოეფიციენტი %
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.0045	2.31
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0	0
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.0045	2.31
ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი	1.275	2.22
კრიტიკული ლიკვიდურობა	0	0

როგორც ცხრილში ნაჩვენებია გაანგარიშებიდან ჩანს, მერყეობის მიხედვით ყველაზე მეტად გამოირჩევა ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი რომლის საშუალოდან გადახრაც საკვლევ პერიოდში 2,22%-ის ტოლია.

#### ცხრილი 2.2.4

„შპს ფრესკოს“ ლიკვიდურობის კოეფიციენტების საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი.

კოეფიციენტები	საშუალო კვადრატული გადახრა	ვარიაციის კოეფიციენტი %
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.025	6.02
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.02	4.44
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.065	6.53
ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი	1.115	3.47
კრიტიკული ლიკვიდურობა	0.02	4.44

„შპს ფრესკოს“ შემთხვევაშიც, ისევე როგორც კარფურის მაგალითზე, მერყეობის ყველაზე დიდი ხარისხით ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი გამოირჩევა და საკვლევ პერიოდში მისი საშუალოდან გადახრის ხარისხი პროცენტულად 3,47-ის ტოლია.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვითვლით გადახდისუნარიანობის ანალიზისთვის არსებითად მნიშვნელოვან კოეფიციენტებს და განვსაზღვრავთ მათ დინამიკას საკვლევ პერიოდში, საჭიროა გავზომოთ ასევე იმ ფაქტორთა გავლენაც, რომლის გამოისობითაც მოხდა კონკრეტული კოეფიციენტის ზრდა ან კლება შესაძარებელი წლის მაჩვენებელთან მიმართებით.

შპს ფრესკოსა და შპს კარფურის შემთხვევაში მაგალითისთვის ავიღოთ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები და ვაჩვენოთ თუ რა გავლენას ახდენს მათზე მიმდინარე აქტივების თითოეული კომპონენტის ცვლილება.

ვინაიდან ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში არსებობს გაყოფის მოქმედებაც, ამ მიზნით ჩვენ მოგვიწევს ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენება.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითი თითოეული კომპანიისთვის სადაც, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფორმულში მიმდინარე აქტივები ჩაშლილია შესაბამის

შემადგენელ კომპონენტებად და გამოკვლეულია მათი როგორც ცალკეული ასევე ერთობლივი გავლენა მოცემულ კოეფიციენტზე.

**ცხრილი 2.2.5**

**„შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.**

მაჩვენებლები	2017 წელი	2018 წელი	გადახრა
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი მოქმედი ფაქტორების გავლენა:	0.33	0.32	-0.01
მარაგები	-	-	+0.1
სხვა მოთხოვნები	-	-	-0.1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	+0.04
მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-0.05

I გაანგარიშება  $(27562+9101+51472) / 268654 = 0,33$

II გაანგარიშება  $(29978+9101+51472) / 268654 = 0,34$

III გაანგარიშება  $(29978+6866+51472) / 268654 = 0,33$

IV გაანგარიშება  $(29978+6866+63595) / 268654 = 0,37$

V გაანგარიშება  $(29978+6866+63595) / 311120 = 0,32$

**ამგვარად:**

- მარაგების ცვლილების გავლენა =  $0,34 - 0,33 = 0,01$
- სხვა მოთხოვნების ცვლილების გავლენა =  $0,33 - 0,34 = -0,01$
- ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ცვლილების გავლენა =  $0,37 - 0,33 = 0,04$
- მიმდინარე ვალდებულებების ცვლილების გავლენა =  $0,32 - 0,37 = -0,05$
- თუ გამოვთვლით მოცემული ოთხივე ფაქტორის ალგებრულ ჯამს, მივიღებთ მნიშვნელობას, რომელიც ტოლი იქნება თვითონ საანალიზო მაჩვენებლის(საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი) საერთო გადახრისა.  
 $0,01 - 0,01 + 0,04 - 0,05 = -0,01$

ჩატარებული ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიაში“ - მარაგებში არსებულმა ცვლილებამ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, რაც შეადგენდა +2416 ლარს, გამოიწვია საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდა 0,01 პუნქტით. სხვა მოთხოვნათა -2235 ლარიანმა კლებამ შეამცირა საერთო ლიკვიდურობა 0,01 პუნქტით. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების 12123 ლარიანმა ზრდამ საერთო ლიკვიდურობა 0,04 პუნქტით გაზარდა ხოლო მიმდინარე ვალდებულებათა 42466 ლარიანმა ზრდამ კი შეამცირა მოცემული კოეფიციენტი 0,05 პუნქტით. საბოლოო ჯამში, აღნიშნულ ფაქტორთა ერთობლივმა გავლენამ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეამცირა 0.01 პუნქტით.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეგვიძლია შევიმუშავოთ გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომლის თანახმადაც მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ფულადი აქტივების ზრდისა და მიმდინარე ვალდებულებათა შემცირებისთვის საჭირო არსებითი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, უნდა დაჩქარდეს როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებების განაღდების პროცესი.

### ცხრილი 2.2.6

„შპს ფრესკოს“ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

მაჩვენებლები	2017 წელი	2018 წელი	გადახრა
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი მოქმედი ფაქტორების გავლენა	1.06	0.93	-0.13
მარაგები	-	-	+0.04
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	-	+0.01
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	+0.06
მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-0.24

I გაანგარიშება =  $(4743825+219218+5107+155993+47264+3651005) / 8327468 = 1,06$

II გაანგარიშება =  $(5053386+219218+5107+155993+47264+3651005) / 8327468 = 1,10$

III გაანგარიშება =  $(5053386+241526+5107+155993+47264+3651005) / 8327468 = 1,10$

IV გაანგარიშება =  $(5053386+241526+4482+155993+47264+3651005) / 8327468 = 1,10$

V გაანგარიშება =  $(5053386+241526+4482+157608+47264+3651005) / 8327468 = 1,10$

VI გაანგარიშება =  $(5053386+241526+4482+157608+159352+3651005) / 8327468 = 1,11$

VII გაანგარიშება =  $(5053386+241526+4482+157608+159352+4106211) / 8327468 = 1,17$

VIII გაანგარიშება =  $(5053386+241526+4482+157608+159352+4106211) / 10403358 = 0,93$

**ამგვარად:**

- მარაგების ცვლილების გავლენა =  $1,10 - 1,06 = 0,04$
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილების გავლენა =  $1,10 - 1,10 = 0$
- სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ცვლილების გავლენა =  $1,10 - 1,10 = 0$
- წინასწარ გადახდილი გადასახადების ცვლილების გავლენა =  $1,10 - 1,10 = 0$
- მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ცვლილების გავლენა =  $1,11 - 1,10 = 0,01$
- ფულისა და ფულის ექვივალენტების ცვლილების გავლენა =  $1,17 - 1,11 = 0,06$
- მიმდინარე ვალდებულებების ცვლილების გავლენა =  $0,93 - 1,17 = -0,24$


თუ გამოვთვლით მოცემული ოთხივე ფაქტორის ალგებრულ ჯამს, მივიღებთ მნიშვნელობას, რომელიც ტოლი იქნება თვითონ საანალიზო მაჩვენებლის(საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი) საერთო გადახრისა.  $0,04 + 0,01 + 0,06 - 0,24 = -0,13$

ანალიზის ჩატარების შედეგად ვასკვნით, რომ:

იმის გამო, რომ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, მარაგებში აღინიშნება ზრდა 309561 ლარის ოდენობით, ამან განაპირობა საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის 0,04 პუნქტით ზრდა. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების 22308 ლარიან ზრდას, სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების 625 ლარიან კლებასა და წინასწარ გადახდილი გადასახადების 1615 ლარიან ზრდას საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტზე გავლენა არ მოუხდენია. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების 112088 ლარიანმა ზრდამ გაზარდა მოცემული კოეფიციენტი 0,01 პუნქტით. ფულისა და ფულის ექვივალენტების 455206 ლარიანმა მატებამ მოყვა ამ კოეფიციენტის 0,06 პუნქტით გაზრდა, ხოლო მიმდინარე ვალდებულებათა 2075890 ლარიანმა მატებამ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეამცირა 0,24 პუნქტით. საბოლოოდ კი მოცემულ ფაქტორთა ერთობლივმა გავლენამ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.13 პუნქტით შეამცირა.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შპს ფრესკოს შემთხვევაშიც, კარფურის მსგავსად, უმჯობესი იქნება მენეჯმენტმა განახორციელოს ქმედებები, რომლებიც შეამცირებს ვალდებულებებს და გაზრდის აქტივებს. ეს შეიძლება მოგვარდეს მიმდინარე ვალდებულებათა დროული დაფარვით და დებიტორულ დავალიანებათა განაღდებათ.


ქვემოთ წარმოდგენილია გრაფიკები რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები წლების მიხედვით.



დიაგრამა 2.2.1 აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტები




მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ კარფურის შემთხვევაში 2017 წელს აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი ნორმაზე დაბალი იყო 2018 წელს კი ეს კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში მოექცა. ამის საპირისპიროდ, კლება შეინიშნება ფრესკოს აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემთხვევაში წინა წელთან შედარებით, თუმცა ამის მიუხედავად იგი ნორმის ფარგლებშია მოქცეული.




დიაგრამა 2.2.2 სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები

გრაფიკის მიხედვით ვასკვნით, რომ არსებული და მისაღები ფულადი თანხებით შპს კარფური 2018 წელ ფარავს მიმდინარე ვალდებულებების 23%-ს რაც არ გასხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან, ხოლო ფრესკო მხოლოდ 43%-ს რაც 3 პროცენტით ჩამოუვარდება 2017 წლის მაჩვენებელს. საბოლოო ჯამში ორივე კომპანიას პრობლემები აქვს ამ კუთხით ვინდაიდან ნორმალურ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 1-სა და 2-ს შორის უნდა მერყეობდეს.




დიაგრამა 2.2.3 საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები

გრაფიკის მიხედვით, შპს კარფურის შემთხვევაში მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს ჩამოუვარდებოდა 2017 წელს და მდგომარეობა გაუარესდა 2018 წელს. რაც შეეხება ფრესკოს, 2017 წლის მონაცემებით მიმდინარე აქტივები სჭარბობდა მიმდინარე ვალდებულებებს 1.06-ჯერ თუმცა 2018 წელს აქაც იკვეთება მდგომარეობის გაუარესება. ორივე შემთხვევაში არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რადგან მოცემული კოეფიციენტი ნორმალურ შემთხვევაში 2-სა და 3-ს შორის უნდა იყოს მოქცეული. ამდენად, გადახდისუნარიანობის ხარისხი ორივე კომპანიაში პრობლემურია.



დიაგრამა 2.2.4 ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი

შემდეგ განხილულ იქნა ფულადი უსაფრთხოების კოეფიციენტი, რომელიც გამოვითვალეთ როგორც წლის ბოლოს არსებული ფულადი თანხების ფარდობა დღიურ ხარჯებთან. ხოლო დღიური ხარჯები გამოვითვლეთ მოგება-ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე, როგორც მთლიანი ხარჯების ფარდობა წელიწადის დღეთა რიცხვზე. შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ საკუთარ განკარგულებაში არსებული ფულადი აქტივებით კარფურს 2018 წელს შეუძლია 56 დღის ხარჯის დაფარვა რაც 5.66 %-ით აღემატება წინ წლის მაჩვენებელს ხოლო ფრესკოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 32-ის ტოლია და წინა წელთან შედარებით 10.34 %-ითაა გაზრდილი.



დიაგრამა 2.2.5 ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი

მოცემული დიაგრამიდან ჩვენ ვასკვნიტ რომ შპს „კარფურს“, ისევე როგორც შპს „ფრესკოს“ საკვლევი პერიოდებისთვის გააჩნიათ დიდი ოდენობით დაგროვილი ზარალი რის გამოც აღარ არსებობს საკუთარი კაპიტალი. შესაბამისად, ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტიც იღებს უარყოფით მნიშვნელობას რაც ურყოფითი მოვლენაა. ნორმალურ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 0-დან 1-მდე შუალედში უნდა მერყეობდეს ხოლო მის ზრდასთან ერთად იზრდება საწარმოთა ფინანსური დამოკიდებულების ხარისხიც კრედიტორებზე. მას შემდეგ რაც ეს კოეფიციენტი გადააჭარბებს 1.5-ს მდგომარეობა სახიფათო ხდება.

## დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე შრომაში: „გადახდისუნარიანობის პრობლემური საკითხები შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ და შპს „ფრესკოს“ მაგალითზე“ აღნიშნული კომპანიების განხილვის გზით შესწავლილ იქნა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა.

თავდაპირველად ჩვენ გავეცანით გადახდისუნარიანობის არსს, მისი ანალიზის მიზანსა და ამოცანებს. განვმარტეთ, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია საწარმოს სრულყოფილად ფუნქციონირების თვალსაზრისით გადახდისუნარიანობის სტაბილურ დონეს. გავეცანით ასევე და დეტალურად განვმარტეთ ლიკვიდურობის კოეფიციენტების როლი გადახდისუნარიანობის დონის დადგენაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი ერთმანეთთან არსობრივ ურთიერთკავშირში მყოფი ცნებებია.

შემდგომ ამისა, ნაშრომს დანართის სახით ჩავურთეთ ფინანსური ანგარიშგება თითოეული საწარმოსათვის, რომლის საფუძველზეც შედგენილი იქნა გადახდისუნარიანობის ბალანსი, გამოვთვალეთ ყველა საჭირო კოეფიციენტი გადახდისუნარიანობის დონის დასადგენად, წარმოვადგინეთ ისინი ცხრილების სახით, დავადგინეთ მათი გადახრის ტენდენციები გასულ წელთან შედარებით, გავზომეთ გადახრაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენა, მოვახდინეთ მიღებული შედეგების ანალიზი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, გავაკეთეთ შესაბამისი დასკვნები და შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები.

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ „შპს ფრესკოს“ შემთხვევაში, ისევე როგორც „შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ შემთხვევაში, მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს, რაც საწარმოში საკუთარი საბრუნავი სასრების(სსს) ნაკლებობაზე მიუთითებს, ანუ საწარმოს არ გააჩნია საკმარისი ოდენობის მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად.

ორივე საანალიზო საწარმოში 2018 წლის მდგომარეობით აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებშია, მაგრამ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად დაბალ დონეზეა, რაც არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

გადახდისუნარიანობის დაბალ დონეზე მეტყველებდნენ ასევე ლიკვიდურობის სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც წინა წელთან შედარებით, ძირითადად გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდნენ.

მოცემული კომპანიები ფინანსურად დამოკიდებულები არიან კრედიტორებზე, განსაკუთრებით ფრესკო. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კომპანიების ფინანსური უსაფრთხოების დონე ძალიან დაბალია და ფინანსური მენეჯმენტის მართვის ხარისხიც გასაუმჯობესებელი.

ჩვენი აზრით, ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე საანალიზო კომპანიების გადახდისუნარიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით მიზანშეწონილი იქნება შემდეგი რეკომენდაციების განხორციელება:

ა) მენეჯმენტმა უზრუნველყოს დებიტორებისაგან ფულადი თანხების ამოღების სათანადო ღონისძიებების გატარება. როგორცაა ფაქტორინგი, ან უკიდურეს შემთხვევაში სასამართლო პროცედურების გამოყენება.

ბ) შერჩეულ იქნას საიმედო მომხმარებლები, რომლებიც დროულად უზრუნველყოფენ თავიანთი დავალიანებების დაფარვას.

გ) გაძლიერდეს მიმდინარე ვალდებულებების დროული დაფარვის მართვა და კონტროლი.

დ) ფინანსური უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მესაკუთრეებმა განახორციელონ დამატებითი ინვესტირება განხილულ საწარმოებში.

ე) ვინაიდან მაღალია დაუფარავი ზარალი, აუცილებლობად მიგვაჩნია მენეჯმენტმა გააძლიეროს დანახარჯების უფრო ეფექტიანად გამოყენების კონტროლი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. თათულაშვილი ა., სამაგისტრო ნაშრომი: „ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები“. თბილისი 2019.
2. კოვზანაძე ი. ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მაცნე, გვ. 109-121, თბილისი 2001.
3. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი, ნაწილი I-ეკონომიკური ანალიზის თეორია. თბილისი 2003.
4. მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ლოგიკურ-ალბათური მოდელი“, თსუ-ს შრომები, თბილისი 2005.
5. ჩეჩელაშვილი ა., სადისერტაციო ნაშრომი: „ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
6. ცირამუა ე., ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა-მეთოდოლოგია). თბილისი 2007.
7. ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი), მე-3 გადამუშავებული გამოცემა, 2018 წელი, თბილისი.
8. ჭილაძე ი. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, სტ. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, N4, ბაგ 2016. თბილისი.
9. ხაჯიბეგოვი ი., სამაგისტრო ნაშრომი: „ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია „შპს ზოდი პლიუსის“ მაგალითზე“. თბილისი 2019.
10. ხიდაშელი ნ., სამაგისტრო ნაშრომი: „ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია“, თბილისი 2019.
11. ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი, 2018 წელი, თბილისი.
12. <https://www.mvp.co.nz/articles/general/how-to-test-solvency>
13. <https://www.investopedia.com/articles/investing/100313/financial-analysis-solvency-vs-liquidity-ratios.asp>
14. <https://www.investopedia.com/terms/s/solvencyratio.asp>

## დანართი

დანართი 1: შპს "ფრესკო შოპინგ ცენტრის" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ლარებში	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
<b>აქტივები</b>		
<b>გრძელვადიანი აქტივები:</b>		
ძირითადი საშუალებები	18 895 174	19 611 955
არამატერიალური აქტივები	74 843	79 619
გრძელვადიანი სესხები	392 265	388 830
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>19 362 282</b>	<b>20 080 404</b>
<b>მიმდინარე აქტივები:</b>		
მარაგები	5 053 386	4 743 825
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	241 526	219 218
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4 482	5 107
წინასწარ გადახდილი გადასახადები	157 608	155 993
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	159 352	47 264
ფული და ფულის ექვივალენტები	4 106 211	3 651 005
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>9 722 565</b>	<b>8 822 412</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>29 084 847</b>	<b>28 902 816</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>		
<b>კაპიტალი:</b>		
საწესდებო კაპიტალი	1	1
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	(10 892 159)	(9 218 525)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>(10 892 158)</b>	<b>(9 218 524)</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები:</b>		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	29 573 648	29 793 873
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>29 573 648</b>	<b>29 793 873</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>		
სავაჭრო ვალდებულებები	9 833 569	7 882 610
მიღებული ავანსები	51 446	8 503
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	518 342	436 354
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>10 403 358</b>	<b>8 327 468</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>39 977 005</b>	<b>38 121 341</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>29 084 847</b>	<b>28 902 816</b>



დანართი 2: შპს "ფრესკო შოპინგ ცენტრის" მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში).

ლარებში	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
ამონაგები	49 432 720	46 052 661
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(39 719 529)	(37 883 855)
<b>მთლიანი მოგება</b>	<b>9 713 191</b>	<b>8 168 806</b>
ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები	(27 014)	(39 712)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(243 468)	(350 377)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(8 623 211)	(7 840 635)
ფინანსური შემოსავალი	45 738	53 384
ფინანსური ხარჯი	(1 676 345)	(1 831 830)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(860 796)	569 651
სხვა შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	(1 728)	568 996
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>(1 673 633)</b>	<b>(701 718)</b>
მოგების გადასახდი	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	(1 673 633)	(701 718)
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი	-	-
<b>სულ პერიოდის სრული შემოსავალი</b>	<b>(1 673 633)</b>	<b>(701 718)</b>

დანართი 3: შპს "ფრესკო შოპინგ ცენტრის" საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.

2018 წლის 31 დეკემბრის დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში).

ლარებში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	(8 516 807)	(8 516 806)
სულ წლის სრული შემოსავალი		(701 718)	(701 718)
გაცემული დივიდენდები		-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	(9 218 525)	(9 218 524)
სულ წლის სრული შემოსავალი		(1 673 633)	(1 673 633)
გაცემული დივიდენდები		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	(10 892 159)	(10 892 158)

დანართი 4: შპს "ფრესკო შოპინგ ცენტრის" ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება. 2018 წლის 31 დეკემბრის დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში).

ლარებში	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მოგება დაბეგვრამდე:	(1 673 633)	(701 718)
კორექტირებები:	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	781 051	868 753
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	34 053
უსასყიდლოდ მიღებული/გასული ძირითადი საშუალებები	49 530	(29 652)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსავალი	(3 826)	(16 957)
საპროცენტო შემოსავალი	(45 738)	(53 384)
საპროცენტო ხარჯი	1 676 345	1 831 830
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტო	860 796	(569 651)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</b>	<b>1 644 525</b>	<b>1 363 276</b>
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა/კლება	(22 308)	(9 842)
მარაგების ზრდა/კლება	(309 561)	832 413
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდა/კლება	(113 078)	(25 607)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/კლება	1 950 958	182 394
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/კლება	124 931	185 923
<b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>	<b>1 630 943</b>	<b>1 165 282</b>
სესხებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	8 258	8 065
გადახდილი პროცენტი	-	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>3 283 726</b>	<b>2 536 623</b>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(287 783)	(185 689)
ძირითადი საშუალებების გასვლა	220 066	950
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(67 717)</b>	<b>(184 739)</b>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
სესხის აღება	-	-
სესხის დაფარვა	(2 677 002)	(274 030)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2 677 002)	(274 030)
<b>ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება</b>	<b>539 007</b>	<b>2 077 854</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტების წლის დასაწყისში</b>	<b>3 651 005</b>	<b>1 507 622</b>
სავალუტო კურსის ზეგავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტზე	(83 800)	65 528
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>4 106 211</b>	<b>3 651 005</b>

დანართი 5: შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში).

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2018წ.	31 დეკემბერი 2017წ.
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	61576	59839
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	2160	3462
	<b>63736</b>	<b>63301</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
მარაგები	29978	27562
სხვა მოთხოვნები	6866	9101
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	63595	51472
	<b>100439</b>	<b>88135</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
სესხები და კრედიტები	209255	169801
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	99466	97092
ანარიცხები	2399	1761
	<b>311120</b>	<b>268654</b>
<b>წმინდა მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>(210681)</b>	<b>(180519)</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
ანარიცხები თანამშრომელთა საბოლოო სარგებლისთვის	2350	1904
სესხები და კრედიტები	4689	7814
	7039	9718
<b>წმინდა ვალდებულებები</b>	<b>(153984)</b>	<b>(126936)</b>
<b>კაპიტალი</b>		
საწესდებო კაპიტალი	4876	4876
დაგროვილი ზარალი	(158860)	(131812)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>(153984)</b>	<b>(126936)</b>

დანართი 6: შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრის დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში).

ათას ლარებში	2018	2017
შემოსავალი	454775	370975
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(368558)	(299203)
<b>საერთო მოგება</b>	<b>86217</b>	<b>71772</b>
საოპერაციო ხარჯები	(88810)	(76573)
სხვა ხარჯები	(74)	(450)
<b>შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(2667)</b>	<b>(5251)</b>
ფინანსური შემოსავალი	2520	4366
ფინანსური ხარჯი	(26901)	(16531)
<b>წმინდა ფინანსური ხარჯები</b>	<b>(24381)</b>	<b>(12165)</b>
<b>წლის ზარალი დაბეგვრამდე</b>	<b>(27048)</b>	<b>(17416)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
<b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>	<b>(27048)</b>	<b>(17416)</b>

დანართი 7: შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ კაპიტალში  
 ცვლილებების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრის დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში).

ათას ლარებში	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4876	(114396)	(109520)
<b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>			
წლის ზარალი	-	(17416)	(17416)
<b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>	-	<b>(17416)</b>	<b>(17416)</b>
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>4876</b>	<b>(131812)</b>	<b>(126936)</b>
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4876	(131812)	(126936)
<b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>			
წლის ზარალი	-	(27048)	(27048)
<b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>	-	<b>(27048)</b>	<b>(27048)</b>
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>4876</b>	<b>(158860)</b>	<b>(153984)</b>

დანართი 8: შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლისათვის.

ათას ლარებში	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
წლის ზარალი დაბეგვრამდე	(27048)	(17416)
კორექტირებები:		
ცვეთა	11535	8868
საპროცენტო შემოსავალი	(2520)	(1720)
საპროცენტო ხარჯი	19518	16531
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	74	450
უცხოური ვალუტის გაცვლით წარმოშობილი ზარალი/(მოგება)	7383	(2644)
მოძრაობა თანამშრომელთა საბოლოო სარგებელი (თანამშრომელთა გრძელვადიანი სარგებლის ჩათვლით)	446	315
	<b>9388</b>	<b>4384</b>
ცვლილებები:		
მარაგები	(2416)	(9890)
სხვა მოთხოვნები	2235	(3164)
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	13493	13599
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და ანარიცხები	3092	30819
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტის გადახდამდე</b>	<b>25792</b>	<b>35748</b>
გადახდილი პროცენტი	(945)	(982)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>24847</b>	<b>34766</b>
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა და ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	(12061)	(31156)
ძირითადი საშუალებების გადაცემა დაკავშირებული მხარეებისგან	(14)	(640)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	31	29
მიღებული პროცენტი	2520	1720
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(9524)</b>	<b>(30047)</b>
ფინანსური საქმიანობა		
სესხები და კრედიტების დაფარვა	(3125)	-
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(3125)</b>	<b>-</b>
<b>წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>	<b>12198</b>	<b>4719</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	51472	46753
გაცვლითი კურსის მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(75)	-
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს</b>	<b>63595</b>	<b>51472</b>
ეს მოიცავს შემდეგს:		
ნაშთები ბანკში	60059	47923
ფულადი სახსრები სალაროში	3536	3549
	<b>63595</b>	<b>51472</b>